ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. ჯ. ფოფალაძის

გზის გასაყარზე

ალბომი

6

გამოცემის 52-ე წელი, (№ 1448). მარტი. 1975. ფასი 20 კაპიკი.

ჩვენს ხალხს მუდამ უყვარდა მშვიდობიან დროს გონივრული ხუმრობა, ხოლო მტრის გამოჩენისას კი — ერთსულოვანი და თავდადებული ბრძოლა მომხდურთა გასანადგურებლად.

ახლა უფრო უსაზღვროა ჩვენი ხალხის სიყვარული სამშობლოსადმი, უყვარს ხუმრობის დროს ხუმრობა, ხოლო ბრძოლის დროს — გმირული თავდადება. უყვარს და ამ სიყვარულს ერთსულოვნად ამყოლავნებს საბჭოთა ქვეყნის გმირი ხალხი — კულტურისა და პროგრესის დაუძინებელ მტრებთან — პირსისხლიან ფაშისტ ყაჩაღებთან ვაჟკაცურ ბრძოლაში.

შალვა დადიანი
„ნიანგი“ № 11 1941 წ.

ნახ. სამსონ ნადარეიშვილისა

„ჯვაროსნები“
„ნიანგი“ № 13. ივნისი, 1941 წელი



ჟურნალი „ნიანგი“ დიდი სამამულო ომის პირველივე დღეებიდან ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. იმ ჭარცეცხლიან დღეებში, როდესაც საბჭოთა ხალხი სისხლით იცავდა სამშობლოს მიწის ყოველ მტკაველს ფაშისტ დამპყრობელთაგან, ჟურნალი „ნიანგი“ თავისი მახვილი სატირითა და იუმორით ვაბედულად ეკვეთა ვერაგ მტერს.

ომში, სიკვდილის გვერდით სიცილი მხოლოდ გმირთა წესია.

„ნიანგის“ გვერდებზე გაისმა მრავალი გამოჩენილი მწერლის, პოეტის, მხატვრისა და საზოგადო მოღვაწის ომახიანი ხმა. **შალვა დადიანი, კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ აბაშიძე, გიორგი ქუჩიშვილი, სიკო ფაშალიშვილი („ფარსადანი“), ილია სიხარულიძე, გრიგოლ ცეცხლაძე** და მრავალი სხვანი თავისი ლიქსებით, იუმორისტული მოთხრობებით, თუ შაირებითა და იუმორესკებით გვერდში ამოუდგნენ ქართველ ხალხს. მათი ხალასი, ვაჟკაცური სიცილი აქარწყლებდა კარზე მოვარდნილი მტრის უძლეველობის მითს.

მწერალთა გვერდით დაუღალავად იღვწოდნენ შესანიშნავი მხატვრები—**დავით ნაცვლიშვილი (დონი), სამსონ ნადარეიშვილი, იოსებ ქოქიაშვილი, გოგი ისაევი, ელისო მაყაშვილი, ანდრო კანდელაკი, მიხეილ ვადბოლსკი, გოგი თოიძე, მიხეილ ლებეშევი** და სხვები. მათი მადლიანი ფუნჯი და ყალამი მტერს გულში ისრად ესობოდა, სისხლიან ბრძოლებს კვეთდა ფაშისტ ურჩხულს

გრგვინავდა სამამულო ომი...

„ნიანგმა“ თავისი ულმობელი სატირის ბასრი ჩანგალი წვერმახვილ ხიშტზე შეცვალა.

ნახ. დონისა
(დავით ნაცვლიშვილი)

გაცვეთილი ფანდი, ანუ სახიფათო ნახტომი

„ნიანგი“ № 12 1941 წ.

საბრძოლო

დედა-სამშობლოს დიად დაძახილს
მთლად საბჭოეთი აჰყვა გულმედგრად,
მხედრული ფიცით ხელთ იღებს მახვილს
და მიდის ცბიერ მტრის შესახვედრად.
მიდის, წინ უძღვის ბრძნული სიმშვიდით
დიდი ბელადის უბადლო სახე;
მიდის, ქვეყნის ვალს წმინდათ მოიხდის
და კვლავ დიდებით შემოსავს სახელს.
ო, ვინ იქნება, თავს ვინ დაზოგავს,
ოდეს მამული მოითხოვს შველას?!
შენ კი, შენ— ჰიტლერ, დღეს ისე ჰბორგავ,
რომ ბუნაგშიაც ვეღარ სძლებ, გცხელა.
თვით მოგედება მალე ის ცეცხლი,
ცისქვეშეთს შენვე რომ წაუკიდე;
ისე დაიწვი შიგ, როგორც მხეცი.
რომ თვით სიკვდილსაც სიძულვილს ჰგვრიდე.

გიორგი ქუჩიშვილი
„ნიანგი“ № 17 1941 წ.

სიკო ფაშალიშვილი
(ფარსადანი)

ვიდა სუკი ფაშისტ ნაბაზეს

გაგონილი მაქვს ამბავი
ოდითვე საკიცხ-საძრახი,
რომ შავ ფაშიზმის ნაგაზებს
უყვართ ფახი და ტრაბახი.
უყვართ, რომ ჟურნალ-გაზეთში
თავი ხშირ-ხშირად ახილონ,
ჩახატულ-ჩართულ-ჩაჩრილი,
როგორც ყანაში ღიღილო.
და რადგან ზოოლოგიას
ვეხები, როგორც საგანსა,
მინდა შევეხო ფაშიზმის
ერთ მთავარ ცხოველთაგანსა.
მინდა დავხატო იმისი
პორტრეტი—მონახაზარი,
მისი ჩვევა და წადილი,
სისხლით უძღები, საზარი.
ან კი დახატვა რად უნდა?
—თქვენც წარმოიდგენთ თავათა,
ტანით ჯუჯას და შუბლვიწროს,
საჩიზღარს—სანახავადა:
ორფეხი არის ჯიშითა,
კაცსაც გაგონებთ ტანითა,
მაგრამ შეხედოთ თუ არა,
უმალვე მგლადა სცანითა.
ნამდვილ მგლისგან კი, უნდა ვთქვათ
განსხვავებულა ის მითა,
რომ მგელს აქვს ზომაც, ნამუსიც
მტაცებლის თვალსაზრისითა.
მას კი—არც კაცთა თვისება,
არც დღემდე ცნობილ მხეცისა
არ გააჩნია თქვენც იცით
და მინდა გითხრათ მეც ისა.
ამრიგად, სჩანს, რომ საქმე გვაქვს
ახალი ჯიშის მხეცთანა:
ჩვევით ხალხისა სისხლისმსმელ,
ჭკუით, გონებით ბეცთანა.
დღეს, დამატებით, ახალი
თვისებაც შეუძენია:
თურმე პური და ნავთიც სურს
და თან მიწებიც ჩვენია.
აი, პორტრეტი ჰიტლერის —
ჩემგან ნახატი სიტყვითა:
ვსცანით ფაშიზმის მხეციო, —
ვგრძნობ, ერთხმად ამას იტყვითა.

ფიქრები ფასებზე, ფოთი ფულზე

ადამიანს სუნთქვასავით ესაჭიროება კვებვაჭრობის მაღაზიები. ეს, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით ქალაქში მაცხოვრებელ კაცზე ითქმის. შეადგამს თუ არა ფეხს მოქალაქე მაღაზიაში, წამსვე მომხმარებლად იქცევა.

და აი, მომხმარებლის პირისპირაა გამყიდველი. ამ ორ მოაზროვნეს შორის დგას ცივი, უტყვი, უსულო, მაგრამ ყოვლად ზუსტი და თავისი ბუნებით პატიოსანი სასწორი.

აწონილი განა მარტო სიტყვაა კარგი, აწონილი პროდუქტიც კარგია, თუკი ის ზუსტია, რადგან გადახდილ ფულსა და შეძენილ პროდუქტს შორის ჰარმონია უნდა არსებობდეს.

ქაღალდს იყენებენ საწერად, სახატავად, ხელის შესაწმენდათ, განცხადება-განკარგულებისათვის, ანონიმური წერილების დასაწერადაც და კიდევ პროდუქტის შესაფუთად. მაგრამ ქაღალდი რომ ვინმეს საკვებად გამოეყენებინოს, ჯერ-ჯერობით არავის არსად აზრად არ მოსვლია. თუმცა...

ორჯონიკიძის სახ. რაიკვებვაჭრობის მაღაზია № 5 გამყიდველ ა. *მამედოვს* ოფლი გადახდის შუბლზე, მომხმარებელი ბუზივით ეხვევა. აი, მან კიდევ ერთი მომხმარებელი გაისტუმრა, რომელსაც აკურატულად გაუხვია ღორის ხორცი „უძვლო" ქაღალდში, რომლის წონა ასი გრამი აღმოჩნდა (საქმე ისაა, რომ სასწორის მეორე მხარეს ქაღალდი არ იდო). თვალსა და ხელს შუა ქაღალდი გაიყიდა ხორცის ფასად (ასი გრამი ოცი კაპიკი), ანუ ქაღალდი იქცა საკვებ პროდუქტად.

იმავე რაიონის მაღაზია № 4-ის გამყიდველი *ნ. ბატიაშვილი* სხვადასხვა სახეობის გასტრონომიულ პროდუქტებში ტრიალებს. მან აუწონა ერთ მომხმარებელს, შეუხვია ქაღალდში, აუწონა მეორეს და ალბათ კიდევ მრავალს აუწონიდა, მაგრამ ჩვენმა შეკითხვამ „რატომ არ გიდევთ ქაღალდი სასწორის მეორე მხარეს?" ოდნავ ჩაფიქრა და შემდეგ მშვიდად გვიპასუხა: „ქაღალდი გვერდზე გადავარდნილაო". „გადავარდნილი ქაღალდის" წონა კი 20 გრამი აღმოჩნდა. ამავე მაღაზიაში გამყიდველმა *ვ. კუხალაშვილმა* თევზის ფასად 30 გრამი ქაღალდი მიჰყიდა მომხმარებელს. მანაც თავი იმართლა — „გადავარდნილაო".

1 მაისის სახ. რაიკვებვაჭრობის მაღაზია № 41-ში გამყიდველ *ლ. იაცუკს* მართალია სასწორის მეორე მხარეს ქაღალდი ედო, მაგრამ 650 გრამ ვიჩინას მაინც დაჰყვა 10 გრ. ქაღალდის გემო. ეტყობა აქ მომხმარებლისათვის ქაღალდის წონა უმნიშვნელო იყო, მაგრამ იმ დღეს მიღებული 303 კგ ვიჩინა 5 კგ ქაღალდს ალბათ თან გაიყოლებდა.

კიროვის რაიონის მაღაზია № 14-ის გამყიდველმა *თ. ხმალაძემ* ნახევარ კგ ძეხვს 20 გრამი ქაღალდი წონაში ჩააყოლა. „თქვენც სასწორის მეორე მხარეს გედოთ ალბათ ქაღალდი, მაგრამ გადაგივარდათ, არა?" — შევეკითხეთ გამყიდველს.

— როგორ მიხვდით? — კითხვაზე კითხვით გვიპასუხა მან.

ამავე რაიონის მაღაზია № 26-ის გამყიდველმა ა. ქობულოვმა მომხმარებელს „შეცდომით" ძეხვის მაგივრად 40 გრამი ქაღალდი მიჰყიდა.

თევზის გაყიდვის დროს ასეთივე „შეცდომა" დაუშვა ოქტომბრის სახ. რაიკვებვაჭრობის მაღაზია № 9-ის გამყიდველმა *ვ. ჟვიძემ*.

„ტარანი ანგარიშით არისო" და ჩვენც ვიანგარიშოთ: კგ ტარანი ღირს 94 კაპიკი, შოკოლადი „ტრიუფელი"—8 მანეთი. ამიტომ თევზის ქაღალდი გაცილებით იაფად იყიდება, ვიდრე შოკოლადისა.

კალინინის სახ. რაიონში მდებარე კაფე „ნარგიზის" უფროსმა გამყიდველმა *ე. ჩერქეზიშვილმა* ათი გრამი ქაღალდი შოკოლადად აქცია. იბადება კითხვა: 10 გრამი ბევრია? შოკოლადი „დათუნია ჩრდილოეთში" კგ ღირს 5 მანეთი და 80 კაპიკი. თუკი ყოველ ნახევარ კილოში 10 გრამი ქაღალდი შეცვლის შოკოლადს, მაშინ ყოველ 10 კგ-ში მივიღებთ 200 გრამ ქაღალდს, ანუ 1 მანეთსა და 16 კაპიკს მომხმარებლის საზარალოდ.

თუ ამ ანგარიშს გავყვებით, მაშინ გვერდს ვერ ავუვლით ლენინის სახ. რაიკვებვაჭრობის მაღაზია № 14-ის გამყიდველ ა. *მარშანიას*, რადგანაც მანაც ნახევარ კილოგრამ „დათუნია ჩრდილოეთში" ზუსტად 10 გრამი ქაღალდი აქცია შოკოლადად.

ოქტომბრის რაიკვებვაჭრობის მაღაზია № 6 თითით საჩვენებელია მთელს ქალაქში, მომსახურე პერსონალი თითქმის მთლიანად ახალგაზრდა ქალებითაა დაკომპლექტებული. აქაური პროდუქციის სურნელებას ქუჩაშიც კი იგრძნობს კაცი. მოკლედ რომ ვთქვათ, თვალის ერთი გადავლებით იდეალურ შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ შესაფუთი ქაღალდის გაყიდვის „ავადმყოფობით" აქაც არიან „დაავადებულები".

აქ უფროსმა გამყიდველმა *ნ. სამჭკუაშვილმა* ნახევარ კგ „დათუნია ჩრდილოეთში" 20 გრ ქაღალდი გააშოკოლადა და მომხმარებელს პირის ჩასაკოკლოზინებლად გადასცა. ამავე მაღაზიის გამყიდველმა *ხ. ქიბიშაურმა* 700 გრ სხვადასხვა სახეობის კამფეტებში 20 გრ ქაღალდი გააკამფეტა.

26 კომისრის სახ. რაიკვებვაჭრობის მაღაზია № 41-ის გამყიდველმა *ა. ასატუროვამ* მომხმარებელს ნახევარ კილოგრამ „დათუნიას" ნაცვლად 470 გრამი აუწონა, დანარჩენი 30 გრამი კი ქაღალდად შეახვია. ქაღალდის წონა ათი გრამით „გაუმჯობესა". ამავე რაიონის მაღ. № 15-ის გამყიდველმა *ს. არაქელოვამ*.

საქარხნო რაიონის კვებვაჭრობის მაღაზიების № 2-ის და პურვაჭრობის მაღაზია № 121-ის გამყიდველები *ი. კაშია* და *ა. ოგანეზიანი* ერთმანეთის მიმართ სოლიდარულები აღმოჩნდნენ. ერთმა შოკოლად „დათუნია ჩრდილოეთში" და მეორემ კამფეტ „ბატის თათებში" ყოველ ნახევარ კგ-ზე ოც-ოცი გრამი დააკლეს.

ნათქვამია: „კაცმა ჭირი მალა და ჭირმა თავი არ დამალაო", გულახდილი საუბარი ჩვენთან ტრადიციად იქცა, ამიტომ მოდით და ვილაპარაკოთ. გაუქმილს გატეხილი სჯობს. გულმოდგინედ დავუწყოთ იმ ადგილს ძებნა, სადაც ძაღლის თავია დამარხული.

ყოფნის თუ არა მაღაზიას სარეალიზაციო პროდუქტისათვის შესახვევი ქაღალდი?

თურმე ნუ იტყვით და არა! (ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ „ნუ იტყვით?").

საიდან მოაქვთ დამატებით ქაღალდი?

ამ აღმოჩენამ ახალი კითხვები დაბადა:

თუ ყიდულობენ, რა ხარჯებით? ან სად ყიდულობენ?

არც ერთ კითხვაზე მაღაზიების ხელმძღვანელებმა დასაბუთებული პასუხი არ გაგვცეს, თუმცა მათ ნათქვამში ყრუდ მოგვესმა: „ქაღალდს კერძოდ ვყიდულობთ. ასე რომ არ გავაკეთოთ, ვერ ვივაჭრებთ, არ გვაქვს უფლება. რითი ვყიდულობთ? პროდუქტის ფასად გაყიდული ქაღალდით".

დავუშვათ და მოგვარდა შესახვევ ქაღალდით მომარაგების საკითხი. იქცევა სავაჭრო სასწორი აფთიაქის სასწორად? ისევ გვესმის ყრუ ხმები: „რა ვქნათ, კვერცხები გვიტყდება, ბოთლები გვემტვრევა, პროდუქტებს ბუნებრივად წონა აკლდება და კიდევ სხვა ყოველდღიური აუნაზღაურებელი ხარჯები გვაქვს".

და ჩვენ ძაღლის თავის სასაფლაოს ძებნაში რთულ ლაბირინთში აღმოვჩნდით.

შთაბეჭდილებებისა და პრობლემების მძიმე ბარგით დატვირთულები ქალაქის ვაჭრობის სამმართველოს უფროსის სამუშაო ოთახში შევედით.

— ეგ ძველი და რთული საკითხია, თუმცა არც თუ გადაუჭრელი. მოთხოვნებს მაღალს ვაყენებთ, ხელისშეწყობაც მაღალ დონეზე უნდა იყოს .— გვითხრა ამხ. ზ .*გილაურმა*. — კარგი იქნება თუ კვების მრეწველობა დიდი რაოდენობით დაიფასოებს პროდუქტებს. თუმცა დადგენილია ბუნებრივი დანაკარგების საშუალო რაოდენობის ანაზღაურების საკითხი, მაგრამ აქ კიდევ ბევრი რამაა მოსაგვარებელი. უნდა გაძლიერდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და, რაც მთავარია, გამყიდველმა თავი სასწორზე არ უნდა დადოს. ისე კი ყველაზე „უანგარო მუშაკად" კიევური სასწორი მიმაჩნია, რომელიც მომხმარებელს აწონილი პროდუქტების ფასს უზუსტესად „ეუბნება". მისი შვინა არც თუ ისე ადვილია და ფასიც საკმაოდ სოლიდური აქვს, მაგრამ რადგან მომხმარებელი კმაყოფილია, ამიტომ ვცდილობთ ჯერ-ჯერობით ცენტრალურ მაღაზიებში მაინც დავდგათ.

საუბარი დასრულდა და ბურუსიც გაიფანტა. დახლართულ ლაბირინთში სინათლემ გაიკიაფა. ჩვენ კი „ურწმუნო თომასავით" ისევ აგვეკვიატა კითხვა: „კი მაგრამ, დაფასოებულ და საცალო პროდუქტებსაც რომ აკლია წონაში?" ალბათ ამ საქმესაც მოვევლება, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვიდრე ეს საკითხები გადაიჭრებოდეს, კარგი იქნებოდა, კვებვაჭრობის მუშაებს ჩვენი ჟურნალის ეს ნომერი სამახსოვროდ შეენახათ და თუ არ წაიკითხავენ, სასწორის მეორე მხარეს მაინც დადონ და ეცადონ არ „გადაუვარდეთ". სიზუსტისათვის: ჟურნალ „ნიანგის" არა საზოგადოებრივი, არამედ ფიზიკური წონა არის 50 გრამი, რომელიც რა თქმა უნდა, არ შევა რეალიზებული პროდუქტის წონაში.

მიუხედავად ამ წერილისა, გულწრფელად გვინდა ვთქვათ: სავაჭრო ობიექტებში საქმე საგრძნობლად გამოსწორებულია!

გარი მეტრეველი,
ჟანი სიხარულიძე



საალექსანდრიო სალაღობო

გასრულდა მატჩი ღირსეულ ორი მეტოქე ქალისა,
ღელვა და დაძაბულობა, ტეხა მრავალი ღამისა!..
დაბოლოს ნანამ იმარჯვა, — ალექსანდრიას დამისაბ!...
და დაცვა, სიცილიური, გვიქცია სიცილ-ხალისად!

ჩვენს საამაყო პრეტენდენტს, — მომგებს უძნელეს ბრძოლისა, —
ნახას ეაქეთ და ვადიდებთ!... ეულოცავთ, პირველ ყოფლისა!
ყოველი სვლის დროს ახსოვდა — „გახსოვდეს, ვისი გორის ხარ!“
თაყვანისა ვართ მცემლები მისი ბრწყინვალე გონისა!

მო, ქარსელაძე ვადიდოთ, — დაუვიწყარი ვახტანგი, —
ვინც ნონასა და ნანასა გზები გაუხსნა ტახტამდი!..
გულში ვიხუტებთ ბუხუტის — ქართულ ჭადრაკის ავთანდილ! —
იგი, მეათე წელია, ნანას წვრთნის „ჰაყაეს ცათამდი!

წინასწარგანვრეტილლობავ ქარსელაძისა, გამართლდი! —
ნანა შეხვდება ნონასა! — აღსრულდა ჩვენი ნანატრი!
ვინ გაიმარჯვებს?“ — დაიწყო ამ რთულ კითხვაზე კამათი!..
პასუხს არ გავცემ, შეხვედრა არ დამთავრდება სანამდის!

ზაურ ბოლქვაძე

— ისევ დაიწყე ყუნის ბაძოვება?
— ხარისხის ერთთვიური დამთავრდა და, აბა, რა ანა!

ალმაგელ „ა“, ვიწაძინ „უ“

— გამარჯობა, ჩემო ავქსენტი! მე ვარ, გერონტი! უნდა მიმეელო, ოჯახი მენგრევა!
— რაშია საქმე?
— გუშინ კოსნილიემმა დაადგინა, რომ ჩემს მეუღლეს კუჭზე წყლული აქვს... საჭიროა ათი ფლაკონი ალმაგელ „ა“!
— ათი ფლაკონი რა ამბავია, შე კაცო?!
— რას მირჩევ, ჩემო ავქსენტი?
— რას და... ათი ფლაკონი ალმაგელ „ა“-ს აქ შოვნას ჯობია ცოლი გაუშვა...
— მეორე თხოვნა მაქვს, სიდედრი მიბრძანდება, კატარაქტა დადგინდა! გამოუწერეს „ვიტაიოდეროლი“, ხომ არა გაქვს?
— სიდედრიც უნდა გაუშვა...
— გეყოფა ხუმრობა!.. კარგი, სიდედრს შევეშვათ! ცოლისთვის რაიმე შეეცალელი იქნებ მიმეცეო, წამლის შეცვლა მირჩევნია. ცოლის შეცვლას. კარგი წამალი ყოფილა ვიტამინი „უ“! ამასაც ვერ მიშოვი?
— მაგისთვის, ჩემო გერონტი, უფაში უნდა წახვიდე, იქ, ქარხანაში, რამდენიც გინდა არის!
— მართლა? რა ღირს ვიტამინი „უ“?
— მანეთი და ოცდაორი კაპიკი.
— უფაში წასვლა-წამოსვლას 200 მანეთი დასჭირდება და... ცოლს რომ რაიმე მოუვიდეს, ხომ დავიღუპე კაცი!? მეტი რა გზა მაქვს, უფასაც ვნახავ და წამალსაც ჩამოვიტან, ცოლის უფალთან წასვლას, ჩემი უფაში წასვლა მირჩევნია... ისე, ჩემო ავქსენტი, ამ ბოლო დროს ძალიან შეიცვალე... ახლა შვილიშვილისთვის თვეზის ქონი მჭირდება და ნაღდად წუნარ ოკეანეში გამაგზავნი!.. რა წამალიც გთხოვე, უარი მტკიეე... ცოლს გაეყარეთ... სიდედრი გაუშვით... შენ უფაში წადიო!..
— ჩემო გერონტი, რადან ეგ წამლები აფთიაქში ჯერჯერობით არა მაქვს, მაშინ ასე ჰქენი: ცოლი ალმაგელ „ა“-სთვის სამკურნალოდ გაუშვი ბუღალტერში, სიდედრი — „ვიტაიოდეროლისთვის“ — პარიზში... ვიტამინ „უ“-სთვის შენ წაბრძანდი უფაში და რომ დაბრუნდები, თვეზის ქონსაც დაგაჩვედრებ!
— ვმდლობთ, გმადლობთ... ხანდახან იღეკნი წამალს ჯობია... კიდეც ერთი თხოვნა მაქვს, წუბრლები თუ გაქვთ, ან ხომ ვერ მეტყვი სად ვიშოვნე?
— რა გითხრა, ორწლინახევრის წინ ძალიან ბევრი იყო.
— ახლა?
— ახლა... არც მე ვიცი რა დაემართა.
— ვერ შეინახეთ ნაცნობებისათვის?
— წუბრლის შენახვა არ არის რეკომენდებული.
— კი მაგრამ, საერთოდ რა გაქვთ?
— ყველაფერი გვაქვს! მაგრამ თქვენ მაინცდამაინც იმპორტული გინდათ! „კოსმოპოლიტ..“
— თერმომეტრი თუ გაქვს?
— გვაქვს!.. ვისა აქვს სიცხე?
— მე...
— ასე გეთქვა თავიდან, შე კაცო!

სოკრატ სტეფანწმინდაშვილი

ბ — ოიკრაფია რად უნდა, ავტომობილი აქვს.

ვ — ენახები შენდება, ღვინის მსმელები ინგრევიან.

ნ — ალეკი ბედნიერებასა ჰგავს: ალაგ-ალაგ მოდის!

უ — ველაზე დიდი დრო წყლის ნაყვას მიაქვს!

ფ — ამლის ნაცვლად ჯორებს აწვევთმდა ყურში.

გიგა მაჩაბელაძე

● დროს „ეიგულეკვიეთ“ ატარებდა..

● ეინახეთ სიყვარული? — ოქროს მიეა ჩვენზე უკეთ ინახავს!

ნახ. ზ. ალაბერიძისა

ბუცკეთილად

აბა, ბურთიც მოედანიც,
ძველ დაგრჩეთ გაკეკვილად,
ბუცკეთილად გველოთ აწ,
ფუტკეთილად, თავეკეთილად.

გარანნა თ... ეკეკეთ ჩვენნ, —
კრეოფსაც ეკეთ ბეთოვან მტკვარს და რ... ენს.
შეეხვეს ბეკენზიერიც, —
ქარბოულ ფინტეთ გადარიოს.

საკენკს, ასგზის გადაღეკვლს
ქობამიც კი ალარ ჰკენკავს —
წელს უთოდ შეეკენწრებთ
თქვენს დეფუტეზ სხვეფის ცეკვას.

ქუღლებ მეკელდა ,ბაიბარად,
არ გაიტანთ არვის, ბანა? —
აბა, მაშინ ნახეთ ჩვენი
ცეროული და ვანდაგანა.

ბოლეს გამარკვევის ფერი —
ოქროსფერი ვარეოდეს,
ტაშფანდურა — ტაშენტური
ვინჭდეო, წეესსეკ ბანშორდეს.

ბული ალარ გიგეკენწრეოლდეს,
ვარკადეს. ბატკეფის ბოლოს ნავსი,
კოლეტმბის თასს დაეწვეოლდეს —
საბეჭოური ბრილის თასი!..

თუკი ასე ბეორკეუბით,
თუკი ასე დაეკვალეკმთ,
ან სტადიონს ახალთ-ახალს, —
ან... შეენგლეფს ჩაგაბარეთ.

— ბოხოეთ მეცალეთ!
— დღეს გეფიცეკენ, ბეჭი ვარ, ბეძაა!

ძია კაცო, თავმჯდომარის სახლი სად არის?
— აბრ. სადაც ასფალტი თავდება.

— რატომ ატკუეთ მეთხეარებელს?
— ველდებულეა კეიდეთ კვარტალის ბოლოს დანაზოგ-ებ ვიეკეარო.

ზ ა ბ ლ ი ერთვენული ბიბლიოთეკა

ბიბლიელი ხელეთის ბენდეგ ლაზერთან მეფის წინა პაიკი ავაცალე.
— რა არის ეს?
— რა და მატი გაქვს.
— დეტსკი მატი? კაი, ერთი, თუ ძმა ხარ! მასეთ რამეებს რომ ვუყურებდეგ...
— აბა, რას უყურებ?
— თამაში გინდა?
— კი.
— აბა, დადე თავის ადგილას პაიკი. ვერ დავინახე, დიდი ამბავი!
პაიკი თავის ადგილას დავაბრუნე.
რამდენიმე ხნის შემდეგ უპატრონოდ მიტოვებული ოფიცერი ავიღე.
— შეეშვი მაგ ოფიცერს! — მუჭარა გაიცინა მის ხმაში.
ფიგურას ცივად შეეშვი ხელი. თამაში გაგრძელდა.
ჩქარა ცხენით ერთდროულად დავემუჭრე მის ლაზიერსა და ეტლს.
— ჰო, ჰო, ჩანგალი გამიკეთა, მნახა რა მეც იდიოტი...
— რა გინდა...
— რა და, წაიღე უკან შენი ჯაგლაგი ცხენი! ეგ ჩანგალი ვისთვისაა გაგიკეთებია, იმას გაუკვეთე...
— მე მგონი...
— დიახ, შენ გგონია რომ ვერ დავინახე? მორჩი ახლა ბაზარს!
ცხენი უკანვე დავაბრუნე და თამაში გაგრძელდა.
— ბახ! — ვუთხარი მე.
იგი ცოტახანს დაფიქრდა. შემდეგ ალმაცერად ამომხედა.
— ამ ზახის შემდეგ ამ ეტლს ითამაშებ და მატია, არა?
— კი.
— ხო, ხო, ხო, რა კომბინაციაა! ასეთ რამეს ორი წლის ბავშვი დაინახავს... შენ მე მართლა ბავშვი ხომ არ გგონივარ?! ჯერ დეტსკი მატი, ახლა ეს...
— მე არავინ არ მგონიხარ.
— თამაში გინდა თუ არა?
— მინდა.
— ჰოდა, წაიღე აქედან შენი უნამუსო დედოფალი!
— რატომ?
— აბა, ითამაშე მარტო.
პატივმოლახული დედოფალი ისევ წანინდელ პოზიციაში დავაბრუნე.
— ბახ! — უცვ მითხრა მან. — და მატ! აი, ასე უნდა თამაში!

ზ. ყორღანაშვილი

ნახ. მ. აბაშიძისა

— მზად თუ ხართ მინდორში გასასვლელად?
— ერთი შემოძახებაა გვინდა მხოლოდ, სიმონიჩ!

იყო და არა იყო რა, იყო ერთი სოფელი, სოფელს სახელად ნიხაური ერქვა, მის მკვიდრებს — ნიხაურელები, ჩვენი ზღაპრის გმირს — ნიფო, შვილს — ნიკო, დედინაცვალს — დედილო. სოფლის ირგვლივ ტყე იყო, ტყეში კი — დათვი. ისევე, როგორც ყოველდღე, როცა მზე გვარიანად დაიბრაწა, მამალმა იყივლა. გაიღვიძა სოფელმა და გაიღვიძა ნიფომ; გაიღვიძა ნიკომაც და თქვა: „მოდი, სანადიროდ წავიდეთო“. წავიდნენ. ჯერ კიდევ შუა ტყეში არ იყვნენ შესულები, რომ ნიფომ დათვი დაინახა და ნიკოს ხელი წაჰკრა: „აგერ, ისაო!“ „რაო?“ — ჰკითხა ნიკომ. „რაოდა, რასაც ხედავ!“—„ზღმარტლიო?“ — წამოიძახა ნიკომ და აიხედა ზემოთ. „არა, იქ არა, აგერ იქაო“, — ისევ წაჰკრა ხელი ნიკომ. „მარწყვიო?“ — იყვირა ნიკომ და დაიხედა დაბლა. „არა, კაცო, აგერ იქაო“, — აუწია ხმას ნიფომ. „მამალიო?“ „არაო“. „ცხვარიო?“ „არაო!“ „აბა, შენ თქვიო!“ „დათვიო“, — თქვა ნიფომ და ორივე საფარს ეცა. „თოფიო!“ — დაუძახა ნიფომ ნიკოს „რომ არ წამომიღიაო“. ახლა ნიკომ შეუბრუნა ნიფოს. „შენც შინ დაგრჩენიაო!“. „აბა, არიქა, ჩქარა, მოუსვი ნიხაურშიო!“ —უთხრა ნიფომ ნიკოს. გავარდა ნიკო, ჯერ კიდევ ქოხთან მისული არ იყო, რომ „ის რა იქნაო?“ — მიაძახა დედილოს. „თოხიო?“, „არაო!“ „ტაბიკიო?“ „არაო!“ „ხელეჩო და წალდიო?“ „არაო!“ „აბა, რა, შენ გენაცვალოს დედილოო!“ „თოფიო!“ „აგერ, შვილო, თოფიო!“ ეცა ბიჭი თოფს და გავარდა ტყეში. ნიფო ისევ საფარში იყო. ზღმარტლი — ხეზე, მარწყვი — მოლზე, დათვი — მდელოზე. შიგ შუბლში დაუმიზნა ნიკომ დათვს და გამოჰკრა თითი. თოფი არ გავარდა. ახლა ნიფო გავარდა ნიხაურში. და ჯერ კიდევ ქოხთან არ იყო მისული, ცოლს დაუძახა: „ის რა იქნაო?“ „რაო, გიდელიო?“ „არაო!“ „აბა, რაო?“ „სავაზნეო!“ „აგე, შე კაცო, სავაზნეო!“—ეცა ნიფო სავაზნეს და გავარდა ტყეში. ნიკო ისევ იქ იყო, ზღმარტლი — ხეზე, მარწყვი — მოლზე, დათვი — მდელოზე. გატენეს თოფი, შიგ შუბლში დაუმიზნეს დათვს და გამოჰკრეს თითი. იქუხა თოფმა. ტყვია ტყვიასავით გამოვარდა ლულიდან, წავიდა, წავიდა, წავიდა და ორი მტკაველი რომ აკლდა დათვამდე, შემობრუნდა, წამოვიდა, წამოვიდა და ორი მტკაველი რომ აკლდა ნიფოსთან მისვლას, დაუძახა: „რაო, რაო! ვის ესროლე, ვინ უნდა მოგეკლაო?“

ნოდარ მალაზონია

ერთხელ კიდევ დისციპლინის შესახებ

ალექსანდრე ეინგორინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირექტორის გამოსვლამ ისე ააღელვა თანამშრომლები, რომ ყველამ მოინდომა გამოსულიყო კამათში. დიდი მონდომებისა და ბრძოლის შემდეგ სიტყვა აიღო საგეგმო განყოფილების უფროსმა:

— ამხანაგებო! ჩვენმა პატივცემულმა დირექტორმა თავის გამოსვლაში სწორად აღნიშნა თანამშრომლებს შორის უდისციპლინობის ფაქტების შესახებ. ავიღოთ, თუნდაც ჩემი თავი. ამ რამდენიმე ხნის წინ სამსახურში მირეკავს ჩემი საყვარელი ცოლი. მე უარი ვერ ვუთხარი, გავიქეცი სახლში, შევუსრულე ყველა დავალება. ასე გავიდა მთელი დღე. მეორე დღეს, დილით ადრე, ჩემთან მანქანით მოვიდა მეგობარი და წამიყვანა მცხეთაში, ხაშის საჭმელად. რაც მართალია მართალია, ხაში და პურ-მარილი ძალზე კარგი გამოდგა, მაგრამ ასე გავიდა კიდევ ერთი დღე. დღეს კი სათევზაოდ ვიყავი „ხრამჰესზე“ და ძლივს მოვასწარი კრებაზე მოსვლა. ახლა გეკითხებით თქვენ, ამხანაგებო: შეიძლება ჩვენს შესანიშნავ კოლექტივში დარჩეს ისეთი ხელმძღვანელი, როგორიც მე ვარ? ამ კითხვაზე მე თვითონ გიპასუხებთ: რა თქმა უნდა, არა. ასეთი თანამშრომელი რაც შეიძლება ადრევე უნდა გაგდოთ ჩვენი რიგებიდან ისე, რომ მას ვერ უშველოს ვერავითარმა ზემოდან დარეკვამ. ამიტომ, მეგობრებო, დაჟინებით გთხოვთ — გამაძევოთ სამსახურიდან, რომ არ შერცხვეს თქვენი საუკეთესო ნათელი კოლექტივის რიგები!

შემდეგი სიტყვით გამოვიდა მთავარი ინჟინერი და, თვალებზე ცრემლმორეულმა, სთხოვა საგეგმო განყოფილების უფროსს, ხელი აეღო თაკის საშინელ განზრახვაზე და მთელი თანამშრომლების სახელით მოუწოდა— დარჩენილიყო ინსტიტუტში, რადგანაც მან დისციპლინა პირველად დაარღვია თავისი მუშაობის პერიოდში. მაგრამ საგეგმო განყოფილების უფროსი მტკიცედ იდგა თავის პოზიციაზე და დაჟინებით მოითხოვდა — გაეძევებინათ კოლექტივიდან.

ბოლოს, დირექტორმა წინადადება შეიტანა, საგეგმო განყოფილების უფროსი გადაეყვანათ დირექტორის მოადგილედ. საგეგმო განყოფილების უფროსმა დირექტორის წინადადებაზე ვერ გამოიჩინა პრინციპულობა და, დათანხმდა მის მოადგილედ გადასულიყო...

ნახ. მამია მალაზონიასი

246
9.IV
75

— შენმა ქმარმა ათი ათასი გაფლანგაო და ვიცოდე მაინც, საიდან წაიღო ამდენი ფული!

თელავიდან გირეკავთ, ძვირფასო ნიანგო! ჩვენს ქალაქში ქარი იცის-მეთქი, ვერ ვიტყვით, მაგრამ ხანდახან ისეთი ქარი ამოვარდება, რომ ფოთოლსაც კი არ ჩამოაგდებს ხიდან.

— თუ ხიდან ფოთოლი არ ჩამოვარდა, ნიავი ყოფილა, ქარი კი არა!

— თქვენ რაც გინდათ დაარქვით და ფოსტალიონებს კი იტაცებს თავისი წერილებითა და ჟურნალ-გაზეთებით. ჩვენი ქუჩის ფოსტალიონს სხვა ქუჩაზე დაარბენინებს და სხვა ქუჩის ფოსტალიონს ჩვენს ქუჩაზე. ნეტავი საიდან ქრის ქარი?

—:—

პატივცემულო ნიანგო! თერჯოლის რაიონის სოფ. თუზიდან ვართ. ნათქვამია „დაჩვეულს ნუ მოაკლებ და დაუჩვეველს ნუ მიაჩვევო". ჩვენ უკვე მიჩვეულები ვართ ცისფერ ეკრანს და ძალზე გვიჭირს ამ სიამოვნების მოკლება. ეკრანი კი ჩანს, მაგრამ გამოსახულებისა რა მოგახსენოთ. სად არ მივწერეთ. პასუხი ასეთია: „ჩხარის გამაძლიერებელი ანძის რეკონსტრუქცია მოხდება მ/წლის მესამე კვარტალშიო" (ლაპარაკია 1974 წლის მესამე კვარტალზე). ეს პასუხი შარშან მესამე კვარტალის ბოლოს მივიღეთ. მას შემდეგ ბევრმა ტელეგადაცემამ ჩაიარა, მაგრამ ჩვენს ტელევიზორებში გამოსახულება არ ჩანს.

— ასეთი პასუხის მიღებას კარგი გამოსახულების მიღება გერჩიათ, არა?

—:—

ამბროლაურის რაიონის სოფელ ღვარდიიდან გაწუხებთ. ალბათ ძნელი დასაჯერებელია, რომ რაჭაში, მოჩუხჩუხე წყაროების გვერდით, სოფელი წყლის ნაკლებობას განიცდიდეს. შრომისმოყვარე ღვარდიელები პაპანაქება სიცხეში ცაში იყურებიან, შუბლზე ოფლი ღვარად ჩამოსდით და წვიმას ნატრულობენ.

— სასმელი წყლის გამოყვანაში თუ ვერ დაგეხმარეთ, შეეცდებით თქვენს სოფელში ხელოვნური წვიმა მაინც მოვიყვანოთ.



„მქსსკი საქართველოს ფილიალის სმს"

თქვენი აბრა ქჩს კდლბ იმსხურებს გმვლელთა გცბას და გკვირბას... ჰრდპრ გსკვრია ჩვნი აბრ-რეკლმების ამბავი. ეშმკიც ვერ გგებს თვსა და ბლს. გაამკარგულებლის ნჯსა და ჭკგნიერების მხატვრულ ალღოსთან შთნხმით მიღწეული ჰრმნია ჩთვლბა ქართული მრთლწერის შდვრად.

გკცნით თქვენი „ნნგი"-ის დვლბით ქრთლს კსრძე

გვერდი თუ აგტკივდეთ, მიაკითხეთ გვერდით!

ნოდარ შამანაძე

ხმით ნატირალი კარიერისტზე

ვაი, პაიკივით წინ წაგწიეს
და შენც სიხარულით ახლად იშვი!
კვლავ წინ გაჭრის ჟინი დაგეუფლა,
სკამის გიჟი გახდი,
სკამის გიჟი!..
ერთი ხელის წაკვრით შეიცვალე,
თავში გაიწიე, გაგულდიდდი,
სიყრმის მეგობრებიც დაივიწყე,
დიდი კაცი გახდი,
ჰაუ, დიდი!
წარბებს ხელქვეითებს არ უხსნიდი,
მათთან ერთხელ მაინც გაგეცინა!
უფროსთა აჩრდილიც გაშინებდა,
ფეხქვეშ ეგებოდი მოკეცილად!
მართლის მთქმელს სდევნიდი გაცოფებით,
ადგილს მართმევენო, კრთოდი ძილშიც.
მიგიხვდნენ, მიგიხვდნენ, რა კაციც ხარ,
სკამს გადაგაშორეს სკამის გიჟი!
რიხიან ბრძანებებს დაჩვეული,
შინ ყვირი... სახლშიაც არ გისმენენ!
თურმე სკამზე ფიქრობ, ისევ სკამზე,
ვაიმე, რა გითხრა ამის მერე!..

ნახ. ვ. კუციასი



უსიტყვოდ

ნახ. ნ. ქელეხსაშვილისა



უსიტყვოდ

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (პ/მდ. მდივანი), ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, ვ. ლომაძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ნ. ნიფნიანაძე (მთ. რედ. მოადგილე), ვ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე.

⊙ სტირის და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". ⊙ საქართველოს პროსპექტი № 42, ⊙ საქართველოს სა ცკ-ის ბიბლიოთეკა, ⊙ ტექნიკური რედაქტორი ვ. კუხალაშვილი, ⊙ თბილისი, რუსთაველის № 42, ⊙ საქართველოს სა ცკ-ის ბეჭდვითი ნაბეჭდი ფურცელი 1. საერთაშორისო-საბჭოთა ერთობლივ 1,4 ⊙ საქართველოს სა ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ⊙ Тбилиси, пр. Руставели № 42. Сатирико-юмористический журнал «Нианги». ⊙ Издательство ЦК КП Грузии. ⊙ Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 30 კაპიკი

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბერაძე

ნახატი თემების ავტორები: ა. ერაძე, ე. სიხარულიძე, ტ. ზანგურაშვილი, ვ. კუცია, ნ. ქელეხსაშვილი, ვ. ბასიშიძე, ნ. მალაზონია, ზ. ქებაძე, ზ. ბერიაშვილი.

7-1975
75-246
ეროვნული ბიბლიოთეკა
Index 76187

ესპანეთის საზოგადოებრიობის ფართო ფენები გამოდიან პენტაგონის სამხედრო ბაზების წინააღმდეგ, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზეა განლაგებული. ამ ბაზების დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას მოითხოვს ესპანეთის მრავალი დემოკრატიული ორგანიზაცია. ქვეყნის ბურჟუაზიული წრეებიც კი ღარ ფარავენ იმ საშიშროებას, რაც დაკავშირებულია შეერთებული შტატების სამხედრო ძალების განლაგებასთან ესპანეთის მიწა-წყალზე.

ნახ. გ. ლომბიძისა

— ის ნამდვილად ძარის წისქვილები არ არის, ჩემო სინიორ, აი, მათ უნდა შევებრძოლოთ!